საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 434 2020 წლის 2 მარტი ქ. თბილისი

ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჩ“ და „ჭ³“ ქვეპუნქტების საფუძველზე, პროფილაქტიკის მიზნით:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდებული სადეზინფექციო სამუშაოების ჩასატარებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2020 წლის 4 მარტიდან 2020 წლის 16 მარტამდე შეჩერდეს სასწავლო პროცესი;

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საჭირო ღონისძიებები დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებში, 2020 წლის 4 მარტიდან 2020 წლის 16 მარტამდე

პერიოდში მომსახურების მიწოდების შეჩერების მიზნით. აღნიშნულ პერიოდში ანაზღაურების საკითხი გადაწყდეს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2020 წლის 4 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**